# სინო-ქართული სტრატეგიული პარტნიორობა: თანამშრომლობა განათლების სფეროში

ნოემბერი 2024

სამოქალაქო იდეა

**ავტორები:**

ანი კინწურაშვილი
აქსანა ახმედოვა
ქეთევან გელაშვილი

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს სამოქალაქო იდეას საქმიანობის მხარ-დამჭერი ორგანიზაციებისა და ფონდების პოზიციას. შესაბამისად, სამოქალაქო იდეა არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# სარჩევი


**შესავალი - ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საგანმანათლებლო სივრცეში ..... 4**

**კავშირების გაძლიერება სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერის შემდეგ ..... 6**

**თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ..... 7**

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ..... 9**

**ქუთაისის უნივერსიტეტი ..... 11**

**ჩინეთის უნივერსიტეტების სასტიპენდიო პროგრამები ..... 14**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ..... 14

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ..... 14

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ..... 15

**ერთობლივი საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობები ..... 15**

**ქართული უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგი ..... 17**

**სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობა ქართული მედიის ფოკუსში ..... 23**

**დასკვნა ..... 26**

**დანართი #1 ..... 28**




# შესავალი – ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საგანმანათლებლო სივრცეში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რბილი ძალის ინსტრუმენტთა ნუსხაში საპატიო ადგილი სწორედ უცხო სახელმწიფოს აკადემიასა და განათლების სექტორში განხორციელებულ მანიპულაციურ ქმედებებს უკავია. დასავლური სახელმწიფოები აცნობიერებენ რა ჩინეთის კომუნისტური პარტიის უცხოური გავლენის ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებს, მათ შორის ზემოხსენებულ სექტორებში, ცდილობენ ეფექტური შეკავების პოლიტიკის წარმოებას კონფუცის ინსტიტუტების დახურვითა და სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებით.

საქართველოში პროცესები საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. ქვეყანა ეძებს ჩინეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (და არამხოლოდ) ურთიერთობების ზრდის გზებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთ-საქართველოს  აკადემიური თანამშრომლობა, დღევანდელი მდგომარეობითაც საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს

- კვლევის შესაძლებლობას,
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს,
- სამეცნიერო პროგრამებს,
- ერთობლივ კონფერენციებსა და ვორქშოფებს,
- ენისა და კულტურის და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ფართო

სპექტრს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე აკადემიურ დონეზე, და სხვა.

თუმცა, 2023 წლის 31 ივლისს, ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადმა და მასში განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთობების ინტენსიფიკაციის დებულებების გაწერამ გააჩინა მოლოდინი, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდოდა.

კონკრეტულად, სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის 3.4, 3.5 და 3.6 პუნქტებში ვკითხულობთ:

*3.4 მხარეები გაძლიერებენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კუთხით. ისინი ხელს შეუწყობენ მასწავლებლებისა და სტუდენ-ტების გაცვლით პროგრამებს, გაძლიერებენ თანამშრომლობას სამეცნიერო სფეროსა და ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის თვალსაზრისით და განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს.*

*3.5 მხარეები მხარს დაუჭერენ ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებს ისეთი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებაში, როგორიცაა ერთობლივი სასწავლო პროგრამები, და მოუწოდებენ უნივერსიტეტებს სრულად გამოიყენონ უმაღლესი ხარისხის ციფრული განათლების რესურსები და გაერთიანონ ონლაინ და ოფლაინ არხები თანამშრომლობისთვის. ორივე მხარე ხელს შეუწყობს სტუდენტების გაცვლას და ერთობლივ განვითარებას სამთავრობო სტიპენდიების და სხვა არხების სათანადო გამოყენებით.*

*3.6 მხარეები მნიშვნელობას ანიჭებენ ენების სწავლებას და თანამშრომლობას, წაახალისებენ ორივე ქვეყნის სკოლებში ჩინური და ქართული ენების სწავლებას, მზად არიან გაძლიერონ ენის მასწავლებლების გაცვლითი პროგრამები, მათი გადამზადება და მხარი დაუჭირონ კონფუცის ინსტიტუტების (კლასების) შექმნას.*

## კავშირების გაძლიერება სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერის შემდეგ

სტრატეგიული პარტნიორობის გამოცხადების შემდეგ, შეინიშნება კონკრეტული ბიძგები, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სკოლებში ჩინური ენის სწავლების პოპულარიზაციის კუთხით. მაგალითად,

| | |
|---|---|
| 2023 წლის 4 დეკემბერი | საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ჩინეთის შანდუნგის პროვინციის მთავრობის შეთანხმებით, ქართველი სტუდენტებისთვის ჩინეთში სასწავლებლად დამატებით კიდევ ორი სტიპენდია გამოიყო. |
| 2023 წლის 11 დეკემბერი | ჩინეთის განათლების ვიცე-მინისტრი, ჩენ ჯი შეხვდა საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარეს, გივი მიქანაძეს. შეხვედრის ფარგლებში, ვიცე-მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩინეთს სურს საქართველოსთან საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაძლიერება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სტუდენტების გაცვლა, ორმაგი ხარისხის დიპლომები, ჩინეთ-საქართველოს უნივერსიტეტების ალიანსების შექმნა და ასევე, ჩინეთში ქართული ენის და საქართველოში ჩინური ენის სწავლებისთვის ბიძგის მიცემა. |
| 2023 წლის 16 დეკემბერი | საქართველოს განათლების მინისტრი, გიორგი ამილახვარი, განათლების საერთაშორისო ცენტრის შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრო, სადაც ჯილდო გადასცა რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ჩინეთის საელჩოსაც. განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ ჩინეთთან საპარტნიორო თანამშრომლობის ფარგლებში, განათლების საერთაშორისო ცენტრი სხვადასხვა აკადემიურ პროგრამას წარმატებით ახორციელებს. |
| 2024 წლის 11 აპრილი | გიორგი ამილახვარი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ჭოუ ციენს შეხვდა. „შეხვედრაზე მხარეებმა, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების და ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების საკითხები განიხილეს.“ |

ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის დამტკიცების შემდეგ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები მიუთითებს ორ სახელმწიფოს შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღებისთვის მზაობას. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშის მიზანია სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერის შემდგომ პერიოდში სინო-ქართული საგანმანათლებლო ურთიერთობების ანალიზი. ამგვარად, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ 2022-2024 წლებში ჩინურ და ქართულ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის დინამიკა.

სამოქალაქო იდეა წინამდებარე ანგარიშში, ასევე, წარმოგიდგენთ ქართულ აკადემიურ სივრცეში მზარდი ჩინური გავლენის უტყუარ ნიშანს - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგის შემთხვევას. ამავდროულად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, განხილულია ქართული მედიის დამოკიდებულება ჩინეთ-საქართველოს უნივერსიტეტების ურთიერთობებისადმი.

## თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ განაცხადი, ითვალისწინებს ჩინეთისა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის „პრაქტიკული თანამშრომლობის“ ხელშეწყობას. შესაბამისად, მოცემული ანგარიშის კვლევის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ სამთავრობო დონეზე საგანმანათლებლო სივრცეში განვითარებული მოვლენები, არამედ საქართველო-ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის დინამიკა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი პერიოდი ძირითადად სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის გამოქვეყნების შემდგომ პერიოდს მოიცავს, თუმცა, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ინფორმაცია საკვლევი პერიოდის ფარგლებს სცდება.

**კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა შემდეგ ქართულ უნივერსიტეტებზე:**

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- კავკასიის უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- შავი ზღვის უნივერსიტეტი
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
- თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
- ალტე უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

ჩვენი კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ზემოთ ხსენებულ **ქართულ უნივერსიტეტებს დროის ამ მონაკვეთში ჩინურ უნივერსიტეტებთან რაიმე კონკრეტული და ხელშესახები ახალი ურთიერთობა არ დაუმყარებიათ. თუმცაღა, იყო ბევრი შეხვედრა, საუბარი, დაპირებები და ურთიერთგაგების აქტები.**

სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერამდეც, საქართველო-ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მზარდი ტემპით ხასიათდებოდა. შესაბამისად, 2023-2024 წლებში თანამშრომლობით ურთიერთობებსა და წინა წლების დინამიკას შორის მნიშვნელოვანი კონტრასტი არ იკვეთება. თუმცა, შეიმჩნევა რამდენიმე ტენდენცია:

- 2023-24 წლებში ქართველი სტუდენტებისთვის გაიზარდა შესაძლებლობები სწავლა გააგრძელონ ჩინეთის უნივერსიტეტების საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამებზე სრული დაფინანსებით.
- საქართველოში მოქმედი კონფუცის ინსტიტუტები თუ კლასები სულ უფრო აქტიურად უწყობენ ხელს ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაციას.
- გარდა სტუდენტური გაცვლითი პროგრამებისა, იკვეთება თანამშრომლობის ისეთი ახალი ფორმები, როგორებიცაა ორმაგი ხარისხის პროგრამების ჩამოყალიბების გეგმები და დაფინანსებული საზაფხულო ბანაკი.

## თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ჩინეთ-საქართველოს საგანმანათლებლო ურთიერთობების კუთხით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორს წარმოადგენს თავისუფალი უნივერსიტეტი, რომელიც სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის გამოქვეყნებამდეც აქტიურად თანამშრომლობდა ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებთან. შეგახსენებთ, რომ სწორედ თავისუფალ უნივერსიტეტში გაიხსნა პირველი კონფუცის ინსტიტუტი. შესაბამისად, საქართველოსა და ჩინეთს შორის საგანმანათლებლო ურთიერთობების დინამიკა მკაფიოდ აისახება თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ჩინეთის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობებში.

როგორც სამოქალაქო იდეას წინა ანგარიშში[1] უკვე აღინიშნა, თავისუფალ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტმა, 2010 წლიდან მოყოლებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა თუ ზოგად-

[1] საქართველოში კონფუცის ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამოქალაქო იდეას ანგარიშში: „ჩინეთის გავლენის ოპერაციები საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პოსტ-კოვიდური რეალობა“.

ად ჩინური ენის და კულტურის პოპულარიზაციისთვის, არაერთი აქტივობა განახორციელა. როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვისა და გეგმის დოკუმენტშია აღნიშნული, კონფუცის ინსტიტუტის ჩინური ენის სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა 1100-მდე მსმენელმა მიიღო. ყოველწლიურად დაინტერესებულთა რაოდენობა იზრდება[2] და დღეის მონაცემებით, პროგრამაში მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტია.

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, კერძოდ ენის შესწავლისა და თანამშრომლობის ცენტრის დაფინანსებით** თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში არაერთი პროექტი თუ ღონისძიება განხორციელდა. მათ შორის, აღსანიშნავია:

- ჩინური ენის შესწავლისთვის ისეთი აპლიკაციის შემუშავება, რომელიც გამოიყენებს ხმის ამოცნობის ტექნიკას და ჩინური ენის ცოდნის შეფასების სისტემას/სტანდარტებს (2021 წელი).
- ჩინური ენის საერთაშორისო განათლების პროექტის ფარგლებში, ჩინური კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესახებ მოკლე ვიდეო რესურსების მომზადება. პროექტი მიზნად ისახავს, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, საერთაშორისო დონეზე ჩინური ენის სწავლის მსურველებისთვის ჩინური კულტურის პოპულარიზაციას (2022 წელი).

2022 წლის მაისიდან დღემდე, თავისუფალი უნივერსიტეტის თორმეტმა ყოფილმა სტუდენტმა გააგრძელა სწავლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. სამოქალაქო იდეა დაუკავშირდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტს, რომლებმაც სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ჩინეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლის შესაძლებლობა მოიპოვეს. სტუდენტებმა წერილობითი ინტერვიუს სახით გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება და შთაბეჭდილებები (დეტალურად იხ. დანართი #1).

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი ჩინეთში განათლების მიღების შესაძლებლობისადმი, თუმცა ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა მოსაზრებაც, რომ სოციალური მეცნიერებების განხრით ჩსრ-ში სწავლის გაგრძელება ნაკლებად სასურველია. ერთ-ერთი რესპონდენტი ჩინეთში საგანმანათლებლო სივრცის უარყოფით მახასიათებლად ასახელებს ინტერნეტ-სივრცეში არსებულ ცენზურას, რაც, მისი თქმით, სტუდენტებს კვლევაში უშლის ხელს.

[2] უნივერსიტეტის 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის მიხედვით, კონფუცის ინსტიტუტს ყავდა 13 ჯგუფი-200 მსმენელი; 2020-2021 წლები-10 ჯგუფი, 83 მსმენელი; 2021-2022 წლები-10 ჯგუფი, 88 მსმენელი (online).

## ქუთაისის უნივერსიტეტი

როგორც ჩვენს 2020 წლის ანგარიშში ვწერდით, ქუთაისის უნივერსიტეტის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კავშირი სწორედ 2020 წლიდან იღებს სათავეს, როცა მან სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან მემორანდუმი გააფორმა და მის ფარგლებში ,,კონფუციის კლასის'' გახსნაზე შეთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა ასევე გულისხმობდა ჩინეთში გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობასაც.[3]

აღსანიშნავია, რომ თავად უნივერსიტეტის 2022 წლის მონიტორინგის ანგარიშის შესაბამისად, იგი ჩინეთის განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონფუციის ინსტიტუტების პროექტის გამარჯვებულია, რაც უნივერსიტეტის აბიტურიენტებს საშუალებას აძლევს უსასყიდლოდ შეისწავლონ ჩინური ენა და კულტურა.

გასულ წლებში ჩატარებული კვლევების ფარგლებში ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია სინძიანისა და ქუთაისის უნივერსიტეტების თანამშრომლობა 2021 წელს, კონფუციის ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებით. ინიციატივა ჩინეთის საერთაშორისო განათლების ფონდიდან დაფინანსდა, თუმცაღა, მოცემულ საკითხზე განახლებული ინფორმაცია ამ ეტაპისთვის არც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, და არც მედიაში არ მოიპოვება. ამგვარად, სამოქალაქო იდეამ ქუთაისის უნივერსიტეტს მიმართა კითხვით, ფუნქციონირებს თუ არა კონფუციის ინსტიტუტი ამჟამად უნივერსიტეტში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მივიღეთ პასუხი, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში 2021 წლიდან ფუნქციონირებს **კონფუციის კლასი**.

CERTIFICATE OF AUTHORIZATION

No.CC2020007

This is to certify that Xinjiang Medical University, China, and Kutaisi University, Georgia are approved to cooperate to develop Confucius Classroom at Kutaisi University in Georgia and authorized the right to use the brand, name and logo of "Confucius Classroom". This carbon-leaf right shall not be transferred without the consent of Chinese International Education Foundation (hereinafter referred to as "the Foundation").

Validity of this authorization is from December 11, 2020 to December 10, 2025.

Confucius Classrooms devote themselves to promoting the international dissemination of the Chinese language, enhancing the understanding of Chinese language and culture among peoples around the world, facilitating the exchanges and cooperation between China and other countries in the world and advancing mutual understanding among countries. Kutaisi Medical University and Kutaisi University shall assure full compliance when they use the brand, name and logo of "Confucius Classroom", guarantee that Confucius Classroom at Kutaisi University fulfill the purpose of Confucius Classroom, operate by the laws and regulations, and safeguard its own rights, interests and repute; shall provide office and teaching space and facilities and other necessary conditions for Confucius Classroom activities; shall submit an annual report to the Foundation and shall be subject to the quality evaluation by the Foundation. The Foundation has the right to revoke this authorization, should the Confucius Classroom, if assessed to fall short of the quality criteria, take no remedial action based on the assessment criteria or still fail to reach the assessment criteria after such actions are taken.

It is hereby authorized.

YANG Wei
Chinese International Education Foundation
Authorized Representative

ps: This certificate has Chinese and English versions. The Chinese version will prevail in case of inconsistency.

საყურადღებოა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუციის კლასის ფეისბუქ ანგარიშზე ხელმისაწვდომია ავტორიზაციის სერტიფიკატი, რომლის თანახმადაც, სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი ითანამშრომლებენ კონფუციის კლასის პროგრამების ფარგლებში. ავტორიზაციის ვადა განსაზღვრულია ხუთი წლით, 2020 წლის 11 დეკემბერიდან - 2025 წლის 10 დეკემბერამდე.

[3] ქუთაისის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, გაცვლითი პროგრამების გრაფაში ამ ეტაპისთვის ფიქსირდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სინძიანის უნივერსიტეტი. ეს უკანასკნელი არის საერთაშორისო პარტნიორთა სიაშიც.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის კონფუცის კლასი მრავალფეროვანი აქტივობებით ხასიათდება. კერძოდ, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, კონფუცის კლასის ძირითადი ფუნქციები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ჩინური ენის შესწავლა დაინტერესებული პირებისთვის;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლითი პროექტების ორგანიზება;
- სასწავლო რესურსების შემუშავება;
- მასწავლებელთა თუ სტუდენტთა სასერტიფიკატო გამოცდების ჩატარება;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და თანამშრომლობისთვის შესაბამისი აქტივობების ორგანიზება;
- საქართველოსა და ჩინეთს შორის კულტურული ურთიერთობების ხელშეწყობა და სხვა.

გარდა ამისა, ზემოთ ხსენებული ავტორიზაციის სერტიფიკატის თანახმად, კონფუცის კლასის მისია მოიცავს:

- ჩინური ენის გავრცელების ხელშეწყობას;
- ჩინური ენისა და კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლებას;
- ჩინეთსა და სხვა ხალხებს შორის კულტურული გაცვლების წახალისებას;

დღემდე ცნობილი პრაქტიკის შესაბამისად, **კონფუცის კლასები წარმოადგენენ კონფუცის ინსტიტუტების ერთგვარ „ფილიალებს“ და მათი აქტივობები პარტნიორი კონფუცის ინსტიტუტების მხარდაჭერით ხორციელდება.** მაგალითად, 2022 წლის 30 აპრილს, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ, ჩინეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლის აღსანიშნავად, ჩაატარა კონკურსი - *"ერთად დავწეროთ ჩინეთ-საქართველოს მეგობრობის ახალი თავი და დავხატოთ ორი ქვეყნის ნათელი მომავალი“*. ღონისძიების თანაორგანიზატორები იყვნენ ალტესა და თავისუფალი უნივერსიტეტების კონფუცის ინსტიტუტები, ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასი და მედია კომპანია „4You.ge”. კონკურსში მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდა კალიგრაფიისა და ფერწერის მოყვარულ ნებისმიერ პირს. ამასთან, საკონკურსო ნამუშევრის თემატიკა უნდა ყოფილიყო “ჩინეთ - საქართველოს მეგობრობის” ამსახველი.

ქუთაისის უნივერსიტეტის „კონფუცის კლასი“ სრულად ანხორციელებს კონფუცის ინსტიტუტისთვის დამახასიათებელ საქმიანობას. მაგალითისათვის:

- 2022 წლის მონიტორინგის დოკუმენტის თანახმად, ცნობილია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის კონფუცის კლასმა ქუთაისის მასშტაბით სხვადასხვა

საჯარო და კერძო სკოლებთან მოლაპარაკებები აწარმოა, ჩინური ენის კურსების სკოლებში შეტანის მიზნით.

- უნივერსიტეტის 2023 წლის მონიტორინგის დოკუმენტი გვამცნობს, რომ კონფუცის კლასის ორგანიზებით ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციული პერსონალი ესტუმრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, კერძოდ, მის პარტნიორ სინძიანის უნივერსიტეტს.

საინტერესოა, სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტის განსაკუთრებული ინტერესი ქუთაისში არსებული კონფუცის კლასის მიმართ. მაგალითად, 2024 წლის ივნისის თვეში ჩინეთის სინძიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაციის ქუთაისის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრებმა შეაფასეს მოსწავლეთა ჩინური ენის ცოდნის დონე.

ბუნებრივია, ქუთაისის უნივერსიტეტსა და ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა გაცილებით მრავალფეროვანი და ფართოა, ვიდრე კონფუცის კლასის აქტივობები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2023 წელს, ჩინეთის ქ. ურუმჩიში სინძიანის ავტონომიური რეგიონის განათლების დეპარტამენტისა და ჩინეთის განათლების სამინისტროს ორგანიზებით გამართული საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმი ჩინეთი-ევრაზია ექსპო 2023, *"საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავება და უკეთესი მომავლის დანერგვა"*, რომელზეც ქუთაისის უნივერსიტეტის დელეგაციაც იმყოფებოდა, ხოლო უნივერსიტეტის რექტორს გოჩა თუთბერიძეს პრეზენტაცია ჰქონდა საქართველოში სამედიცინო განათლების თანამედროვე გამოწვევების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორი, გოჩა თუთბერიძე 2023 წელს მომხსენებელი იყო კიდევ ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც ისაუბრა თემაზე: „ენის განათლება და ურთიერთსწავლება ცივილიზაციებს შორის“ (“Language Education and Mutual Learning across Civilizations”).

# ჩინეთის უნივერსიტეტების სასტიპენდიო პროგრამები

**საგანმანათლებლო სივრცეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ ძლიერ ინსტრუმენტს გაცვლითი და სახელმწიფო სტიპენდიების პროგრამები წარმოადგენს.** ამ თვალსაზრისით, არც 2023-2024 წლები იყო განსხვავებული და ქართული უნივერსიტეტები აგრძელებდნენ თანამშრომლობას ჩინეთის უმაღ-ლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გასული 2 წლის განმავლობაში რამდენიმე სასტიპენდიო კონკურსი გააცნო საკუთარ სტუდენტებს:

- 2023 წელს გამოცხადდა სასტიპენდიო კონკურსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენ-ტებისთვის. კონკურსის ფარგლებში, გამარჯვებული აპლიკანტები, 2023-2024 სასწავლო წლის ფარგლებში, პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასწავ-ლო სტიპენდიას იღებდნენ.
- 2023 წლის მაისში, ჩინეთის სიჩუანის პროვინციის უნივერსიტეტებმა გამო-აცხადეს სასტიპენდიო პროგრამები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქ-ტორო საფეხურებისთვის.
- 2024 წელს კი, აღმოსავლეთ ჩინეთის პოლიტიკისა და სამართლის მეცნი-ერებების უნივერსიტეტმა გამოაცხადა მიღება საზაფხულო და სასწავლო პროგრამებზე.

## ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისევე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022-2024 წლების სასწავლო სემესტრებში, ჩინეთის პარ-ტნიორი უნივერსიტეტების სტიპენდიების შესახებ საკუთარ სტუდენტებს რეგულარულად ამცნობდა. ილიას უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერ-დზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად:

- 2022 წელს ჩინეთის ჟენმენის უნივერსიტეტის აბრეშუმის გზის სკოლამ გამოაცხადა მიღება სრულად დაფინანსებულ სამაგისტრო პროგრამაზე, „თანამედროვე ჩინეთის კვლევები“.

- 2023 წელს ილიას უნივერსიტეტის 18-დან 45 წლამდე ასაკის სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეპოვებინათ შანდუნგის პროვინციის მთავრობის სრული დაფინანსება.
- 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოცხადდა ჩინეთის მთავრობის სტიპენდიები პეკინის ტექნოლოგიის ინსტიტუტის შემდეგ სამ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე: მექანიკური ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება და ტექნოლოგია, საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მმართველობა.
- 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოცხადდა მიღება ჩინეთის უნივერსიტეტების ერთწლიან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად. აღნიშნულ პროგრამას აფინანსებდა ჩინეთის სასტიპენდიო საბჭო, Youth of Excellence Scheme სტიპენდიის ფარგლებში.

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევაშიც, სხვა უნივერსიტეტების მსგავსად, სტუდენტებს ჩინეთში სწავლის გასაგრძელებლად დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა ეძლევათ.

უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, 2023 წლის მაისში ჩინეთის სიჩუანიას პროვინციის უნივერსიტეტმა გამოაცხადა 2023-2024 წლის სასწავლო სასტიპენდიო პროგრამები. სტიპენდიები გამოყოფილი იყო სტუდენტებისთვის როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო, ისე სადოქტორო დონეზე. ასევე, პროგრამა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: კომპიუტერული ინჟინერია, კლინიკური მედიცინა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა.

## ერთობლივი საგანმანათლებლო-შემეცნებითი აქტივობები

გარდა სტუდენტური გაცვლითი პროგრამებისა, ჩინეთის სახალხო რეს-პუბლიკასთან საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობა მოიცავს ისეთ ფორმატებს, როგორიცაა სამეცნიერო კონფერენციები და ორმაგი სადიპლომო პროგრამები. ამ მხრივ, აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა:

2022 წლის ოქტომბერში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციის მთავარი მომხსენებელი იყო მარკუს ვინისიუს დე ფერიტასი, ჩინეთის

საგარეო საქმეთა უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მოწვეული პროფესორი.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩაერთო პროექტში, რომლის ფარგლებშიც ამზადებს ახალ ინგლისურენოვან ორმაგი დიპლომის პროგრამას: „კომპიუტერული მეცნიერება და და მენეჯმენტი“. პროგრამა მზადდება სხვადასხვა ქვეყნიდან და მათ შორის, ჩინეთიდან პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

საყურადღებოა, რომ საკვლევ პერიოდში, ასევე, გამოიკვეთა თანამშრომლობის ახალი ფორმატი, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი. კერძოდ, 2023 წელს ჩინეთის უნივერსიტეტმა (Sias University) გამოაცხადა მიღება ახალგაზრდების გლობალურ ბანაკზე (Global Youth Camp), რომელიც ითვალისწინებდა ლიდერული სწავლების პროგრამებს, ინდუსტრიულ ვიზიტებს, კულტურულ გასვლებს და ლექციებს ჩინეთის ისტორიაზე, კულტურაზე, ეკონომიკაზე, მუსიკაზე და სხვა. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის პროგრამაში მონაწილეობა და ჩინეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ხარჯები დაფინანსებული იყო ჩინეთის Sias უნივერსიტეტის მიერ.

# ქართული უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგი

კვლევის ძირითად სიახლეს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგი წარმოადგენს. 2023 წლის 14 ივნისიდან გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - „ჯიუ“-ს სახელით ფუნქციონირებს.

მართლია, 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე უამრავი ცვლილება განხორციელდა არა მარტო უნივერსიტეტის სახელის ან ლოგოს თვალსაზრისით, არამედ დაწესებულების წილებთან დაკავშირებითაც. 2020 წლის ივლისიდან უნივერსიტეტის ერთ-ერთ მესაკუთრედ 38%-იანი წილით შემოდის კომპანია *ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტი* (ს/კ: 406274008).

მალევე, 2020 წლის 7 ივლისს, ეს უკანასკნელი ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების აქციების საკონტროლო პაკეტის (90% წილის) მფლობელი. საბოლოოდ კი უნივერსიტეტი სწორედ ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტმა შეისყიდა და მისი ერთადერთი მესაკუთრე გახდა.

**ჯორჯია ინტერნეიშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტი** საინტერესოა, რამდენადაც მისი 100%-იანი წილის მფლობელი გახლავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე წენგჭუნგ ქუანგ (**Kuang Zengzhong**). საყურადღებოა, რომ იმავე პირთან ასოცირდება მსხვილი საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰოლდინგი – ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი **(China Foreign**

**ducation Group)** [4]**,** რომელიც „ჯიუ“-ს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, 2020 წლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებელი გახდა. ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის ვებგვერდის მიხედვით, სწორედ მასთან მოხდა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შერწყმა.[5]




ამავე ჰოლდინგის დაარსებულია ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტიც (China International Education College), რომლის კაბინეტი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შპს ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტის დირექტორად გვხვდება ელისო ელისაშვილი, რომელიც თავის მხრივ ასევე იკავებს და იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციებს, როგორც საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში, ისე გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში. სოციალური ქსელის მიხედვით, ქალბატონი ელისაშვილი მანამდე იკავებდა უფროსი აღმასრულებლის პოზიციას ჰუალინგის

---

[4] ჩინეთის საერთაშორისო საგანმანათლებლო ჯგუფი (China Foreign Educational Group) 1999 წელს ჰონგ-კონგში დაარსებული ორგანიზაციაა. იგი 25 წელია რაც მრავალ ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობას. მათ ვებგვერდზე ვკითხულობთ: "ჯგუფი მიჰყვება სასკოლო ფილოსოფიას „მსოფლიო იწყება აქედან“, ახორციელებს განვითარების საერთაშორისო სტრატეგიას „გასვლა და შემოტანა“, ხელს უწყობს ჩინური განათლების წახალისებას „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის წევრ სახელმწიფოებში და აყალიბებს საერთაშორისო პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი სტუდენტების კულტივირებას."
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: https://bit.ly/3UlQjOA

[5] გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტმა 2020 წლის 06 ივლისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და სთხოვა წილების გასხვისების პროცესში გაესაიდუმლოებინა ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორიცაა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასი და მისი გადახდის პირობები. უნივერსიტეტი მიუთითებდა, რომ ეს უკანასკნელი გახლდათ კომერციული საიდუმლოება და არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. უნივერსიტეტის არგუმენტაცია საჯარო რეესტრმა გაიზიარა და აღნიშნული ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად ცნო (შესაბამისად, ხსენებული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის). (იხილეთ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება # B2005 1194/3 ( 11/07/2020 )

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. მას განათლება მიღებული აქვს პეკინის ენისა და კულტურის უნივერსიტეტსა (BLCU - Beijing Language and Culture University) და სიან ჯიანტონგის უნივერსიტეტში (Xian Jiaotong University 西安交通大学). ელი ელისაშვილი, ჩინეთისა და ჩინეთის საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის კუთხით, ქართულ მედიაში ერთ ერთი აქტიური სპიკერია. მაგალითისათვის, იხილეთ მისი ინტერვიუ მთავარი არხის დილის გადაცემაში, **სადაც ის საუბრობს ჩინეთის მიერ კულტურული გაცვლის, როგორც ურთიერთობების გამყარების ინსტრუმენტის შესახებ, აღნიშნავს რა გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებს, რომლებიც ქართველ სტუდენტებს აცნობს ჩინურ ენას, კულტურას, გასტრონომიას და საბრძოლო ხელოვნებას. მისი აზრით, ეს ინიციატივები მიზნად ისახავს ორ ერს შორის უფრო ღრმა კავშირის დამყარებას, რის შედეგადაც საქართველო შეუერთდება ჩინეთის პროგრესისა და მოდერნიზაციის ხედვას, განსაკუთრებით ბიზნესის, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სფეროებში.**

როგორც აღვნიშნეთ, „ჯიუ“-ს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, მის მფლობელად/ინვესტორად და ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტად ჩინეთის მოქალაქე ქანგ ჭენგი (**Kang Zheng**, Kuang Zengzhong-ის შემოკლებული ვერსია) ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ეს სწორედ ის პიროვნებაა, ვინც მეწარმეთა რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ჯორჯია ინტერნეიშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტის მესაკუთრედ არის მითითებული. მისი გზავნილის მიხედვით, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, სწორედ ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის მხარდაჭერით შეძლებს „ჯიუ“ ყველაზე მოწინავე და მოთხოვნად უნივერსიტეტებს შორის დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო მასშტაბით. თავის გზავნილში, იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტუდენტები ინგლისურ ენასთან ერთად შეძლებენ აზიური ენების და მათ შორის ჩინური ენის სწავლასაც, რაც მათ საერთაშორისო ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელ ძირითად წყაროდ უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორები გვევლინებიან. აღსანიშნავია, რომ უკრაინის შემდეგ,

უნივერსიტეტს საერთაშორისო პარტნიორობის ხელშეკრულებები სწორედ ჩინეთის სხვადასხვა უწყებასთან აქვს გაფორმებული.

კერძოდ საერთაშორისო პარტნიორების სიაში გვხვდებიან:

- Ancient Wines (China) https://geocultureasia.org/
- China International Education Group (China) https://www.ciegr.com/




- Guangzhou International Economics College (China) https://www.gziec.org/?page_id=17213 (წარმოადგენს China International Education Group-ის შვილობილ კოლეჯს)

- TANG International Education Group (China) https://www.linkedin.com/company/tang-international-education-group/
- Georgian Culture Asia Association (China) https://geocultureasia.org/

„ჯიუ“სა და საქართველოს კულტურის აზიის ასოციაციას (Georgian Culture Asia Association) შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა 2022 წლის ივნისში. შეთანხმების ფარგლებში, უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია სტაჟირების ან დასაქმების შესაძლებლობა აღნიშნულ ორგანიზაციაში.

რაც შეეხება ასოციაციას, მისი სათაო ოფისი ჰონგ-კონგში მდებარეობს და წარმოადგენს ჰონგ-კონგში რეგისტრირებულ კომპანიას. ასოციაციის ოფიციალურ ფეისბუქ ანგარიშზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ორგანიზაციის შექმნის მიზანია ჰონგ-კონგს, აზიასა და საქართველოს შორის ურთიერთობების, უფრო კონკრეტულად კი, ბიზნეს-კავშირების ხელშეწყობა.

ასოციაცია შეიქმნა 2013 წელს და 2014 წელს „საზოგადოებად“ დარეგისტრირდა.

*საქართველოს კულტურის აზიის ასოციაციამ 2015 წლიდან ფეისბუქ ანგარიშზე აქტიურად დაიწყო ინფორმაციის გაზიარება ქართული კულტურის შესახებ.*

*საინტერესოა, რომ ამავე წელს, ორგანიზაციას, საქართველოს შესახებ შემეცნებითი ხასიათის კონტენტის მთელი სერიის შემდეგ, გაზიარებული აქვს სარკასტული შინაარსის პოსტი, რომელშიც ფიგურირებს საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი და ამჟამად, „სამოქალაქო იდეას“ თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი. არანაკლებ საყურადღებოა, რომ აღნიშნული პოსტი არის ასოციაციის მიერ გაზიარებული ერთადერთი კარიკატურა და ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სხვა პოსტების შინაარსისგან რადიკალურად განსხვავდება. ამგვარად, საქართველოს მდიდარი სამზარეულოს, ბუნების, ღვინის და ქართული კულტურის სხვა ელემენტების შესახებ გამოქვეყნებულ პოსტებს შორის, თინათინ ხიდაშელის კარიკატურა საკმაოდ თვალშისაცემია.*

格魯吉亞文化亞洲協會Georgian Culture Asia Association
May 28, 2015 ·

COVER ME

.....

Cover me! - Latest political cartoon of Georgia's newly appointed Defense Minister

A cartoon featuring recently appointed Defense Minister Tina Khidasheli has recently surfaced on social media. The idea the cartoon is based on is a recent photo of Tina Khidasheli visiting a military base while having her shoulders covered by an army-issue field coat.

http://www.georgianjournal.ge/entertainment/30488-cover-... See more

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომ-ლობს ჰონგ-კონგში არსებულ ჩინეთის უწყებებთან. მათ შორის არის ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზიის წამყვანი არხი **VuT**, რომლის წარმომადგენლებიც „ჯიუ“-ს 2023 წლის დეკემბერში ესტუმრნენ და უნივერსიტეტის სტუდენტები ჰონგ-კონგელ სტუდენტებთან ერთად სატელევიზიო სერიალში გადაიღეს. გარდა ამისა, იმავე პერიოდში, ჯიუს კანცლერი, ელი ელისაშვილი, მსოფლიო ჩინური ენის სასწავლებლების რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჰონგ-კონგში გაემგზავრა. ვიზიტის დროს, მან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ჩინეთის სარტყლისა და გზის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სამუშაო კომიტეტთან. მემორანდუმის თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სარტყლისა და გზის ტრენინგებისა და გადამზადების ცენტრის შექმნაზე.

# სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობა ქართული მედიის ფოკუსში

სინო-ქართული აკადემიური და საგანმანათლებლო ურთიერთობებისა და ამ ურთიერთობების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინ-ფორმაციას ქართული მედია ნაკლებ დროს უთმობს. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავი და აქტუალურია ჩინეთის უნივერსიტეტების ქართველი კურსდამ-თავრებულების მიერ შექმნილი ონლაინ პლატფორმა „სინომედია“, რომელიც მიმოვიხილეთ ჩვენს პირველ მედია ანგარიშში „ჩინეთის როგორც „მეომარი მგლის“ პოლიტიკა მედიაში - საქართველოს მაგალითი“, და რომელიც აქტი-ურად ეწევა ჩინეთის სახელმწიფოს საგანმანათლებლო ინიციატივების, კონ-კურსების, აკადემიური პროგრამების, ენის კურსების და სხვა მსგავსი აქტივ-ობების პოპულარიზაციას საქართველოში. საკვლევი პერიოდის ფარგლებში, „სინომედიის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეხება სამ სხვადასხვა ქართულ უნივერსიტეტს, რომელთაგან ორში კონფუცის ინსტიტუტი, ხოლო მესამეში კონფუცის საკლასო ოთახი ფუნქციონირებს. “სინომედია” ხშირად წერს ჩინეთში ქართველი კურსდამთავრებულების წარმატებაზე და ასევე, კონფუცის ინსტი-ტუტების მიერ საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებზე.

მაგალითად, 2023 წლის 23 აპრილს, “სინო-მედიას” ცნობით, პეკინის ტექნოლოგიურ ინსტი-ტუტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემ-დეგ, თსუ-ს კურსდამთავრებულებმა მეცნიერ-ებისა და ტექნოლოგიების სამხრეთის უნივერ-სიტეტის (Southern University of Science and Technology, SUSTech, ქალაქი შენჟენი) სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით მუშა-ობა დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ ავსტრალიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ შექმნილი ვებგვერდის, უნითრექერის მიხედვით, SUSTech უსაფრთხოების საშუალო რისკების მატ-არებელია, რადგან მისი პროფესორები ჩართულ-



ნი არიან თავდაცვის კვლევებში და უნივერსიტეტის პარტნიორებს შორის გვხვდება ისეთი სახელმწიფო უწყებები როგორებიცაა, შენჟენის თავდაცვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდუსტრიის ასოციაცია, ცენტრალური სამხედრო კომისია და სხვა.

ამის პარალელურად, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები SUSTech-ში ვაქცინაციის „რნმ[6]“ ტექნოლოგიების განვითარების კვლევებშიც.

2023 წლის 27 აპრილს, თავისუფალ უნივერსიტეტში, კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით, აღინიშნა ჩინური ენის საერთაშორისო დღე, რომლის ფარგლებშიც, ინსტიტუტის დირექტორმა სუ კუოინგმა ჩინური კალიგრაფიის შესახებ პრეზენტაცია ჩაატარა.

“სინომედიაზე” გვხვდება სტატიები იმის შესახებ, რომ 2023 წლის 9 და 10 ივნისს, ალტე უნივერსიტეტსა და თავისუფალ უნივერსიტეტში, სკოლის მოსწავლეებისთვის საქართველოში ჩინეთის საელჩოს მხარდაჭერით კონფუცის ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა, სახელწოდებით *„ჩინური ენის ხიდი“*. კონკურსის გამარჯვებულები კი ჩინეთში სასწავლო ვიზიტით გაემგზავრნენ. უფრო მეტიც, კონკურსის ფინალს, რომელიც ალტე უნივერსიტეტში გაიმართა, ესწრებოდნენ „საქართველოში ჩინეთის საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი ქალბატონი სიუ ხაიჭენგი, ასევე საელჩოს წარმომადგენელი სიუ ჭონგსინი, საქართველოს განათლების სამინისტროს „ასწავლე და ისწავლე

[6] "რნმ" - რიბონუკლეინის მჟავა არის ერთჯაჭვიანი ნუკლეინის მჟავა, რომელიც დნმ-ში კოდირებულ ინსტრუქციებს „ასრულებს". ლინკი: https://www.genome.gov/genetics-glossary/RNA-Ribonucleic-Acid

საქარ-თველოსთან ერთად“ პროექტის წარმომადგენელი, ჩინეთის კვლევების ცენტრის პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ლიუ კუანგვენი, საქართველოს აბრეშუმის გზის კულტურის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საპატიო თავმჯდომარე, ალტეს უნივერსიტეტის მენეჯერი თამთა ნიკოლაძე, საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი ანი გვეტაძე, კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი ჭანგ ვენგანგი და ქუთაისის კონფუცის კლასის დირექტორები გიორგი დათუაშვილი და ჭუ ძიენპინგი.“

მიუხედავად განათლების სფეროში თანამშრომლობაზე ინფორმაციის სიმწირისა, ბუნებრივია „სინომედია“ არ არის ერთადერთი მედია საშუალება რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ტრადიციული მედია საშუალებებიდან მნიშვნელოვანია გავიხსენოთ საინფორმაციო კვირეული რომელიც წინ უძღოდა სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერას. კერძოდ, ტელეკომპანია „იმედმა“ და სხვა სამთავრობო არხებმა გრძელი და ხანგრძლივი სიუჟეტები მიუძღვნეს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტს. მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის, რომელიც ქართული მედიის ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა, იყო პეკინის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ცერემონია, რასაც საქართველოს განათლების მინისტრის, გიორგი ამილახვარის განცხადებაც დაერთო. განცხადების მიხედვით,




*"საქართველო ჩინეთთან გადადის ურთიერთობის უმაღლეს ეტაპზე, ეს არის სტრატეგიული პარტნიორობა და სწორედ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ფართოვდება ასევე თანამშრომლობა განათლების და მეცნიერების მიმართულებით.“*

*გიორგი ამილახვარის განცხადებებით - „საქართველოს და ჩინეთის უნივერსიტეტების დაახლოება, სტუდენტების და პროფესორების გაცვლითი პროგრამების დაფინანსება ქართულ განათლებას და მეცნიერებას კიდევ მეტ შესაძლებლობებს შესძენს."*

განცხადებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთ-საქართველოს აკადემიური ურთიერთობები უფრო გაღრმავდება, რაც ავტომატურად გულისხმობს ამ სფეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენების ზრდას, ქართული საგანმანათლებლო უწყებების მხრიდან მსგავს თანამშრომლობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სრულად უგულებელყოფის ფონზე.

# დასკვნა

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თავისთავად **უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა მხოლოდ მისასალმებელი და წასახალისებელია იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ქართველი ახალგაზრდებისა და მეცნიერებისთვის მაღალი სტანდარტების ხარისხიან განათლებაზე წვდომას უზრუნველყოფს სრული აკადემიური თავისუფლების პირობებში**. პრობლემა მაშინ ჩნდება, როდესაც ჩინეთის კომპანიებთან, უნივერსიტეტებთან და კომუნისტური პარტიის განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელ რგოლებთან თანამშრომლობის დაწყებამდე, ქვეყანაში არ არსებობს რისკების შეფასების დოკუმენტი, სრულიად უგულებელყოფილია პარტნიორი ქვეყნების კვლევები და მიგნებები იმ საფრთხეებთან მიმართებაში, რასაც მსგავსი თანამშრომლობა იწვევს და სხვა.

სწორედ ეს ორი პირობა, (1) ხარისხიანი განათლება, და (2) აკადემიური თავისუფლება უნდა წარმოადგენდეს განათლების სფეროში თანამშრომლობის წინაპირობას ყველა საფრთხის გათვალისწინებით და შესაბამისი მედეგობის ბერკეტების ამოქმედებით.

საკვლევ პერიოდში, ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის შემდეგ, განათლების კუთხით მცირე, მაგრამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ მომავალში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება. ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის გავლენა იგრძნობა საგანმანათლებლო სივრცეში სამთავრობო ინიციატივების, მათ შორის, სტიპენდიებისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ზრდაში. 2023-2024 წლებში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უნივერსიტეტებმა საკუთარ სტუდენტებს სწავლის ჩინეთის საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამებზე გაგრძელების ან ჩინეთის მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა უზრუნველყვეს. რაც შეეხება უშუალოდ ადმინისტრაციებს შორის პრაქტიკულ აკადემიურ თანამშრომლობას, ამ კუთხით აღსანიშნავია ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები და შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში. ამასთან, მცირე, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო სივრცეში ჩინური ენის პოპულარიზაციის კუთხით.

რაც შეეხება მედიას, ტრადიციულ ქართულ მედიაში ჩინეთ-საქართველოს აკადემიური ურთიერთობების შეზღუდული გაშუქების მიუხედავად, ისეთი პლატფორმები, როგორიცაა "სინომედია", მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი სახელმწიფოს საგანმანათლებლო კავშირებისა და მათთან დაკავშირებული აქტივობების პოპულარიზაციაში.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააცნობიერონ ჩინეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები, მით უმეტეს, რომ ჩინეთთან პარტნიორობა კვლავ ვითარდება და შედეგები უფრო „ხელშესახები“ ხდება. სინო-ქართული აკადემიური ურთიერთობების წინსვლასთან ერთად, მნიშვნელოვანია ჩინეთის სუბიექტების როლი გურამ თავართქილაძის თბილისის საგანმანათლებლო უნივერსიტეტის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტად - "ჯიუ"-დ გადაქცევაში. ეს რებრენდინგი, რომელიც 2023 წლის ივნისში დაიწყო, წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს განათლებაში ჩინური ინვესტიციებისა და გავლენის ნათელ მაგალითს, ვინაიდან ქართული უნივერსიტეტის საკონტროლო პაკეტს სწორედ ჩინეთის მოქალაქე და China Foreign Education Group-ის თავმჯდომარე Kuang Zengzhong ფლობს. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის თანამშრომლობა სხვადასხვა სუბიექტთან (მაგალითად,სააგენტოებთან ჰონგ-კონგში), რაც დასტურდება პარტნიორული ხელშეკრულებებით, ხაზს უსვამს სინო-ქართული აკადემიური ურთიერთობების მრავალმხრივ ბუნებას და დაინტერესებული ჩინური მხარის მზარდ როლს საქართველოს საგანმანათლებლო ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში.

# დანართი №1

**1. გთხოვთ, მიუთითოთ ის ქართული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, სადაც სწავლობთ/სწავლობდით.**

**რესპონდენტი 1:** თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

**რესპონდენტი 2:** თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

**რესპონდენტი 3:** თავისუფალი უნივერსიტეტი

**რესპონდენტი 4:** თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

**2. გთხოვთ მიუთითოთ ფაკულტეტი/მიმართულება.**

**რესპონდენტი 1:** საერთაშორისო ურთიერთობები -კონცენტრაციით შორეული აღმოსავლეთი

**რესპონდენტი 2:** საერთაშორისო ურთიერთობები/შორეული აღმოსავლეთი - ჩინური ენა.

**რესპონდენტი 3:** შორეული აღმოსავლეთი: ჩინური ენა

**რესპონდენტი 4:** საერთაშორისო ურთიერთობები, ჩინური მიმართულებით.

**3. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სწავლის გასაგრძელებლად რომელი პროგრამით ისარგებლეთ?**

**რესპონდენტი 1:** ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით, რომელიც გულისხმობდა ერთი წლით ჩინეთში ჩინური ენის დაუფლებას.

**რესპონდენტი 2:** ჩინეთის სახალხო რეაპუბლიკაში სწავლის გასაგრძელებლად ვისარგებლე განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსით.

**რესპონდენტი 3:** ჩინეთის მთავრობის სტიპენდიით.

**რესპონდენტი 4:** ჩინეთის მთავრობის სტიპენდია მოვიპოვე, რაც ითვალისწინებს ერთწლიან სტაჟირებას ჩინეთში, ერთ-ერთ პრესტიჟულ პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

**4. იყო თუ არა ეს პროგრამა დაფინანსებული? (რომელი დაწესებულების მიერ?)**

**რესპონდენტი 1:** კი, იყო სრულიად დაფინანსებული - საცხოვრებელი, სწავლის გადასახადი და ყოველთვიური სტიპენდია სახარჯად.

**რესპონდენტი 2:** პროგრამა სრულებით დაფინანსებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

**რესპონდენტი 3:** დიახ, ჩინეთის მთავრობის მიერ იყო დაფინანსებული.

**რესპონდენტი 4:** დიახ. ჩინეთის მთავრობის მიერ სრულიად იყო დაფინანსებული.

## 5. რა მოლოდინები გქონდათ აღნიშნულ პროგრამასთან და ჩინეთში განათლების მიღებასთან დაკავშირებით?

**რესპონდენტი 1:** მოლოდინები საკმაოდ დიდი მქონდა და ძალიან დადებითად ვიყავი განწყობილი, ვინაიდან მანამდეც ამ პროგრამით წასული სტუდენტებისგან მსმენოდა მათ ჩინეთში თავგადასავლების შესახებ, ამიტომ ველოდი, რომ ჩემი თავგადასავალიც და ჩინურ ინსტიტუტში განათლების მიღებაც მსგავსად ნაყოფიერი და საინტერესო იქნებოდა.

**რესპონდენტი 2:** უპირველესად, ჩემი მთავარი მოლოდინი გახლდათ უცხო კულტურისა და ისტორიის მქონე ერის გაცნობა და ენის დონის გაუმჯობესება.

**რესპონდენტი 3:** ველოდი მაღალი ხარისხის განათლების მიღებას მაღალტექნოლოგიურ გარემოში. ასევე მომთხოვნ, განათლებულ ლექტორებს და საერთაშორისო ხალხს კამპუსზე.

**რესპონდენტი 4:** ზოგადად, უნივერსიტეტში ბევრი წარმატებული და უკან დაბრუნებული სტუდენტი გავიცანი და მათ შემიქმნეს დადებითი მოლოდინები სწავლის ხარისხზე, ხალხზე, იქაურ კულტურაზე, იმაზე თუ რამდენად ზრდილობიანი და მაღალგანვითარებულ სოციუმში ვიტრიალებდი, და ა.შ.

## 6. გაამართლა თუ არა აღნიშნულმა პროგრამამ თქვენი მოლოდინები?

**რესპონდენტი 1:** დიახ, ვიტყოდი რომ სრულიად გაამართლა და გადააჭარბა კიდეც მოლოდინებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩასვლისას უამრავი საბუთისა და დოკუმენტის მოგვარება საკმაოდ სტრესული იყო, ჩინეთში უნივერსიტეტში გატარებულმა დრომ, სწავლამ, ლექტორებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციამ, მეგობრულმა გარემომ, და ახალმა თავგადასავლებმა სრულიად გადაფარა უცხოელების ჩინეთში დოკუმენტებთან მოგვარებისას განცდილი სტრესი.. პროგრამაში შედიოდა უნივერსიტეტის კამპუსში დაბინავება და ყოველთვიური გადასახადი, ამიტომ საკმაოდ გამიმართლა, რომ საცხოვრებელზე ფიქრი და წვალება არ დამჭირდა. ამავდროულად, სწავლის მხრივაც, საკმაოდ გამართლდა მოლოდინები, ძალიან განათლებული და მეგობრული ლექტორები მასწავლიდნენ, და მათთან კონტაქტი საკმაოდ მარტივი და ხელმისაწვდომი იყო.

**რესპონდენტი 2:** დიახ.

**რესპონდენტი 3:** დიახ, სრულიად.

**რესპონდენტი 4:** კი. თავდაპირველად ფეხის მოკიდება გამიჭირდა, უფრო იმ თვალსაზრისით, რომ იყო დიდი რაოდენობის paperwork და პროცედურულად უცხოელისთვის ბევრი რამ უფრო მეტ საბუთს და დროს მოითხოვს, ვიდრე, ადგილობრივისთვის. ეს იყო მხოლოდ ის ბარიერი, რის გადალახვაც გამიჭირდა და რასაც არ ველოდი.

## 7. რას ფიქრობთ ჩინეთში განათლების გაგრძელების შესაძლებლობაზე? რა დადებით/უარყოფით მხარეებს ხედავთ?

**რესპონდენტი 1:** ვფიქრობ, შანსი რომ მომეცეს, კვლავ წავიდოდი ჩინეთში განათლების გასაგრძელებლად. დადებითი მხარეა ყველაფერი, რაც ჩინეთის უნივერსიტეტის კამპუსში ცხოვრებისას გამოვცადე: სწავლა; ახალი გარემო და კულტურა, სხვადასხვა ივენთები, რომლებიც მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ეწყობოდა და უამრავი მეგობრის გაჩენა შეგეძლო და ა.შ.
თუმცა, როდესაც ვფიქრობ უარყოფით მხარეებზე, მახსენდება პირველ რიგში ის, რომ საკმაოდ რთულია უცხოელისთვის ჩინეთში თუნდაც ბანკში საქმეების მოგვარება; კომუნიკაციის დამყარება ბანკებში, საიმიგრაციო ოფისებში, საავადმყოფოებში და ა.შ. რადგან ჩასვლისას გჭირდება, რომ უამრავი საბუთი მიიტანო სხვადასხვა დაწესებულებებში, გაგზავნო დოკუმენტები პოლიციის განყოფილებაში, ექიმთან გაიარო უამრავი შემოწმებები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ბინადრობის ნებართვა. მომავალში მსურს ჩინეთში სწავლის გაგრძელება, მაგრამ ამ პროცესების ხელახლა გავლის აუცილებლობა ჯერჯერობით მაკავებს უკან.
თუმცა, ამ მხრივ აღსანიშნიშნავია ის, რომ ჩინელი ხალხი საკმაოდ დიდ ყურადღებას და დახმარების სურვილს იჩენს მსგავს სიტუაციებში, რაც ჩემთვის ცხადია ძალიან დიდი პლუსია.

**რესპონდენტი 2:** ჩინეთში განათლების მიღებას, ცხადია, რომ აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში სტუდენტებს საკმაოდ ბევრი საინტერესო შესაძლებლობები აქვთ, სხვადასხვა მიმართულებით არის შესაძლებელი საკუთარი თავის პოვნა და განვითარება. ვფიქრობ, რომ სწავლის გაგრძელება დამოკიდებულია სასურველ პროფესიაზე და აქ ვაწყდები სწორედაც უარყოფით მხარეს. მათემატიკური მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ჩინეთში სწავლა საკმაოდ ნაყოფიერია, რასაც ვერ ვიტყოდი სოციალურ მეცნიერებებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ჩინეთში სწავლის გაგრძელება, პირადად ჩემთვის არ არის სასურველი.

**რესპონდენტი 3:** დადებითი ისაა, რომ ჩინეთს აქვს რამდენიმე უმაღლესი დონის უნივერსიტეტი, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინჟინერია, ტექნოლოგია და ბიზნესი. სწავლა ისეთ ადგილას, როგორიც არის ჩინჰუის ან პეკინის უნივერსიტეტი, გაძლევს წვდომას უახლესი კვლევებისა და კონკურენტუნარიანი გლობალური განათლების მისაღებად. ასევე, შეერთებულ შტატებში ან ევროპაში სწავლასთან შედარებით, ჩინეთში სწავლა და ცხოვრების ხარჯები უფრო იაფია (ძირითადად სტიპენდიებში საცხოვრებლის სრული ხარჯი შედის).
უარყოფითში უფრო იმას ვხედავ, რომ დიდი ბარიერია ქართულ და ჩინურ კულტურებს შორის და სანამ ამ ყველაფერს მოერგები ბევრად უფრო დიდი დრო გჭირდება, ვიდრე, დავუშვათ, საშუალოდ სტუდენტი ერგება კონტინენტურ ევროპას ან, ალბათ, აშშ-ს.

**რესპონდენტი 4:** მე, სავარაუდოდ, აღარ ვაპირებ, სწავლა გავაგრძელო ჩინეთში, თუმცა, შესაძოა, სხვაგვარად მეფიქრა, ჩემი პროფესია ტექნიკურ სფეროს რომ უკავშირდებოდეს.
დადებითი: მომთხოვნი აკადემიური სივრცე და განსხვავებული, ასევე მომთხოვნი სწავლის კულტურა უფრო ორგანიზებულს, მოწესრიგებულს გხდის და გიბიძგებს, შედგე ძლიერ, დამოუკიდებელ და ზრდასრულ ადამიანად.
უარყოფითი: კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობაში ნავიგაცია მარტივი არაა, რადგან ინტერნეტში უამრავი ხელისშემშლელი ცენზურაა. ბევრი სხვა უარყოფითი ამ მხრივ მაინც ბიუროკრატიას უკავშირდება.

**8. აღნიშნული პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, შეგექმნათ თუ არა დასაქმების შესაძლებლობა ჩინეთში ან მის ფარგლებს გარეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებულ უწყებებში/დაწესებულებებში?**

**რესპონდენტი 1:** ვფიქრობ, ასე მარტივად არაა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩინური ენის სასწავლებლად ვიყავი ჩინეთში; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებულ უწყებებში/დაწესებულებებში მუშაობის დაწყებისათვის მხოლოდ ეს არ იქნება ის, რაც დასაქმების შესაძლებლობას შემიქმნის. თუმცა, ვფიქრობ, რა თქმა უნდა, ამ პროგრამაში მონაწილების შემდეგ, დასაქმების სურვილის შემთხვევაში დადებითად აისახება ჩინეთში მიღებული აღნიშნული გამოცდილება.

**რესპონდენტი 2:** ჯერ-ჯერობით ამ პროგრამის ფარგლებში ვიმყოფები ჩინეთში, შესაბამისად, არ მაქვს ზუსტი პასუხი აღნიშნულ კითხვაზე.

**რესპონდენტი 3:** არა, საჯარო სამსახურის შემოთავაზებები ნაკლებად მოსდით საერთაშორისო სტუდენტებს. მე თვითონ  მომსახურების სფეროში ვიმუშავე რამდენიმე თვის განმავლობაში.

**რესპონდენტი 4:** არა, ჩემი მანდარინი არაა საკმარისად პროფესიონალურ დონეზე უნაკლო ამისთვის და თან ადგილობრივი კავშირები მნიშვნელოვანია, რის მოსაპოვებლადაც იქ, მინიმუმ, რამდენიმე წელი მაინც უნდა დასახლდე და დამკვიდრდე.

**9. მოახდინა თუ არა გავლენა ჩინური ინსტიტუტების უკეთ შესწავლამ თქვენს პირად სამოქალაქო ან პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ერთი წინადადებით განავრცეთ თქვენი პასუხი.**

**რესპონდენტი 1:** ვიტყოდი, რომ ჩინური ინსტიტუტების უკეთ შესწავლას არ მოუხდენია ჩემს პირად სამოქალაქო ან პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე გავლენა.

**რესპონდენტი 2:** ცხადია, ნათელია ჩინური ინსტიტუტების ხედვა და მისია, რაც ისედაც მკაფიო გახლდათ აქ ჩამოსვლამდე, შესაბამისად, უფრო მეტად განმიმტკიცა აქ ყოფნამ ის ცოდნა, რაც აქამდე არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ მქონდა.

**რესპონდენტი 3:** დიახ, ჩინეთის ინსტიტუტების შესწავლამ გააღრმავა ჩემი გაგება იმის შესახებ, თუ როგორ სწრაფად შეუძლია ცენტრალიზებულ მმართველობას, წაახალისოს ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში. მაგრამ, ამავდროულად, უფრო მეტად გამიჩინა ისეთი დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემის შეგრძნება, როგორიცაა გამჭვირვალობა და სიტყვის სრული თავისუფლება.

**რესპონდენტი 4:** მსოფლმხედველოვაზე მხოლოდ იმდენად მოახდინა გავლენა, რამდენადაც უფრო გამიღრმავა ცონდა ავტოკრატიულ, კომუნისტურ და ცენტრალიზებულ მთავრობებზე და როგორ მუშაობს ისინი პრაქტიკაში. ჩემი აღქმა აქამდე უფრო მწირი იყო ამაზე. სამოქალაქო ღირებულებები კი არ შემცვლია.